

# საქართველო

ISSN 0132-6015

19-83



— რაო, ჭიბუხ, უანი ბიჭი ქალაქიდან რას იფარება?  
— გავიგე, მანდ სტუპვას გადაუვლია და ზელს რთველზე ზელარ დაამელტდებიტო!

**თაფლი იყოს**, თორემ ბუზი თუნდ ბაღდადიდან მოვაო. ამ ანდაზის პირველ მთქმელს ნაღდად პირის გემო არა ჰქონია, ან თუ ვეგეტარიანელი ყოფილა და ხაშლამის ძიგძიგი არ უნახავს მაგიდის გასწვრივ ჩამოტარებულ სინზე, არც ცვრიანი მწვადების შიშხინი სმენია და არც ცხარე ყაურმის სუნით დაბნედილა, თორემ ისე არ გაბრიყვდებოდა, რომ ანდაზაში სორცის მაგიერ თაფლი ეხსენებინა. ამასთან ანდაზის შემქმნელი ინტელექტითაც მოიკოჭლებს, მას რომ „კაცია-ადამიანი?!“ ჰქონოდა წაკითხული, უთუოდ გაასხენდებოდა ლუარსაბ-დარეჯანის დავა ბოზბაშისა და ჩიხირთმის თაობაზე და ერთიორჯერ ნერწყვსაც გადაყლაპავდა და, აბა, ამის შემდეგ თაფლს როგორღა გაიხსენებდა? სორცი იყოს, თორემ ბუზი ბაღდადიდან მოვაო, წამოიძახებდა და იქვე დაიმოწმებდა თელავის სორცკომბინატის მუშაკებს, რომლებმაც ყოველდღიური პრაქტიკიდან იციან, რომ ბუზი ახვევია სორცს, ფარშს და ყოველივე სორციანს, დაემოწმებოან, მაგრამ იმასაც დაუმატებენ, შეიძლება ბუზი უფრო შორიდანაც მოფრინდეს, მაგრამ ვინ დააცლის, რომ რიგიან სორცზე დასკუპდეს, ვთქვათ, სახაშლამაზე, ან სამწვადეზე, ან სატოლმეზეო.

ღიახო, დაიჭინებენ, ნამდვილად არავინ დააცლის, რადგან სორცკომბინატის ირგვლივ ბუზზე ბევრად მსხვილი ვინმეები ირევიანო!..

როგორ თუ ირევიანო? – გაიკვირვებს საქმეში ჩაუხედავი კაცი, მაშ. არასაუწყებო დაცვის საგუშაგო რისთვის დგას შესასვლელში, ან საკონტროლო სასწორი რისთვის უდგასო?! ბუზებს, დავუშვათ, ფრთები აქვთ და მათი შეკავება არ შეიძლება, ეს „მსხვილი ვინმეები“ როგორღა შედიანო?!

მსხვილ ვინმეებსაც აქვთ ფრთებიო, უპასუხებენ საქმეში ჩახედულები, ოღონდ ბარათის ფრთები აქვთო, სორცკომბინატის დირექტორის მიერ არიან დაპროგრამებული და პირდაპირ მაცივრის გამგე ფარნასკენ მიფრინავენო. აი, ამ პროგრამების რამდენიმე ნიმუშიო, „ტალონებს“ უფარჩავებენ.

„ფარნას! მიეცი 5 კგ ძროხა 5 კგ ღორი. აჩიკო“ (აქ და ყველგან დირექტორის სტილი დაცულია). „ფარნას! მიეცი 10 კგ. სამწვადე. აჩიკო“; „ფარნას! მიეცი 30 კგ ღორის სამწვადე, აჩიკო“; „ფარნას! მიეცი 6 კგ ძროხის,“

6 კგ ღორის სამწვადე, ღორის ფეხი 10 კგ. აჩიკო“; „ფარნას! მიეცი 6 კგ ღორის სამწვადე და 2 კგ ძროხის რბილი. აჩიკო“; „ფარნას! მიეცი 30 კგ ღორის სამწვადე. აჩიკო“; „ფარნას! მიეცი 10 კგ. ღორი და სახაშლამე. აჩიკო“.

ბარათებით გაცემული სორცის წონამ 300 კილოგრამს რომ აამეტა, მაშინღა შეკრთა სორცკომბინატის დირექტორი არჩილ წვერიკმა ზაშაშვილი.

„მიწერილი წერილების შესახებ გაცნობებთ, რომ ვწერდი ძალიან იშვიათ შემთხვევაში, მხოლოდ მაშინ თუ მალაზიის მინდობილობით ვინმე იყო მოსული სარეალიზაციო სორცისთვის“.

მისი ნათქვამიდან ის უნდა დავასკვნათ, რომ კომბინატის დირექტორი განკარგულებას იძლეოდა უკვე მალაზიის კუთვნილ სარეალიზაციო სორცზე (!).

ვთქვათ, დავუჯერეთ. მაგრამ ვაჭრობის მუშაკების ხასიათი რომ ვიცით, საფუძველმოკლებულად გვეჩვენება ნათქვამი. ვინ ჭკუათამყოფელი დავაჯიჯგინებს სორცს „30 კგ

სამწვადის“, „ღორის სუკის“, ან „ძროხის რბილის“ გამოსარჩევად?!

მეორე მხრივ, საიდან უნდა ჰქონდეს დირექტორს სორცის „პირადი ფონდი“, თანაც ასეთი ფართო ასორტიმენტით?!

ბოლო სარევიზიო აქტში ვკითხულობთ:

„წინა პერიოდის რევიზიით გამოვლენილ დარღვევებიდან ისევე გრძელდება პირუტყვის სორცკომბინატში შემოსვლის აღურიცხაობა არასაუწყებო დაცვის მიერ“.

ამას ისიც უნდა დაემატოს, რომ საკონტროლო სასწორი ხშირად არ მუშაობს, ხოლო სარევისტრაციო ჟურნალში ჩანაწერები კეთდება არარეგულარულად.

ასე, რომ თელავის სორცკომბინატის მუშაკებთან ერთად დირექტორიც დაგვეთანხმება ზემოხსენებული ანდაზის თანამედროვე ვარიანტზე.

საბოლოოდ იგი ასეთ სახეს მიიღებს: „სორცი იყოს, თორემ მჭამელი თუნდ ბაღდადიდან მოვა!“

**ელგუჯა მარაბიშვილი**



ნახ. თ. კოზამაძისა

უსიტყვოდ

ნაკვეთები

- ახალი წელი კარგად დაიყენა. მაგრამ წელი მაინც სტკიოდა.
- ბარამოს გატუტუტყიანების მიუხედავად, წმინდა წყლის ტყუილის თქმას მაინც ახერხებდა.
- ფალსიფიცირებალი თაფლით ყოველთვე ნატურალური თაფლობის თევს იყენებდა.
- სხვაგვარ როცა წყალს არ უმღვრევდა. თვითონ მას გუნება ემღვრეოდა.
- ყველას ყველ აფერს პირღმითი ჰპირდებოდა და მაინც უპიროს ეძახდნენ.
- ბანიგო, ლილა არ იშოვებოდა და — მეზობელი მუშტით დააღლილა.
- ამღვრავულ წყალში თევზის დაქერას აპირებდა. მაგრამ წყალი გადაუწურეს.

მერაბ ელგუჯაური

- სულ უკან-უკან იყურებოდა და წინდახედულება დაკარგა.
- ბამოსაჩანს გამოსარჩენი თანამდებობა ერჩივნა.
- ხშირ-ხშირად იფასებდა თავს, რადგან გამყიდველად მუშაობდა.
- პატიოსან ადამიანს აული უთბობს ხელებს. უპატიოსნოს — ფული.

ალექსი ოპროპირიძე

შეძიკისი დასიკონი

შლიქვნილი — წელგამრუდებული ადამიანი.  
მეჭრთაჲ — ოცნებით გატაცებული მტაცებელი.

გივი კილაძე

უზრმოკრული

რევიზორი: რატომ გიწყვიტა „უქარქაშო ხმლები“ დახლქვეშ?  
გამყიდველი: მყიდველებმა რომ ხელი არ შეაქრან!

● დამლაგავალი დირექტორის კაბინეტს ანიავებდა. დირექტორი — მთელ დაწესებულებას!

ანდრე ჯალიაშვილი

● ხელმძღვანელს ფორმალურად არ უყვარდა დამბუზღებელი. თორემ ფაქტიურად...

● მოუწესრიგებალი კაცის დიაგნოზი: ალერგიულია დისციპლინისადმი.

მგრძანებალი

აურაცხელ ბრძანებას  
სეტყვასავით ყრის,  
ტყუილით და მართალით  
აიქაფებს პირს:

— „გააკეთეთ ეს და,  
გააკეთეთ ის!“  
ყველა საქმის კეთებას  
იოლ საქმედ თვლის!

ბოლოს, როცა მას ჰკითხეს,  
რას აკეთებს თვით, —  
დატუქსული ბავშვივით  
ილოკავდა თითს!


გურამ კლდიაშვილი

როლის ისწავლი ჭკუას?

ისევ ქურდობ და  
ისევ ჯიბიგრობ,  
ისევ ალონებ გულებს!  
ისევ უშრომლად ჰპარავ  
მშრომელ კაცს  
შრომით ნაშოვარ ფულებს!  
უცხო სახლებს და  
უცხო კარადებს  
უცებ მოარგებ კლიტეს  
და ათამაშებ სხვების ჯიბეში  
ძირში მოსაჭრელ თითებს!  
კაცის მოკვლავც. —  
თუ საჭიროა. —  
შენ უარს იტყვი. განა?  
დაბადებიდან დაგბედებია  
რევოლვერი და დანა!  
სწავლას არ ეძებ.  
შრომას არ ეძებ!

მითხარ, ვინ ხარ და  
რა ხარ?  
მხარში უღდახარ  
შენებრ გარეწრებს  
და კვლავ საქურდოდ დახვალ!  
ბევრჯერ გაგქაჩეს.  
ბევრჯერ ნატრობდი  
გამხმარი პურის ყუას!..  
საპატიმროში ასჯერ ნამყოფი —  
როდის ისწავლი ჭკუას?  
ისევ აგსვამენ.  
ისევ ჩაგსვამენ.  
სადაც ცოფს ჰყრიდი წინათ. —  
რადგან იქ არის  
და იქ იქნება  
შენი მუღმივი ბინა!

ეთერ ხამბარაძე



მომთხოვნელობა საკუთარი თავისადმი



ნ.ხ. ვ. კუციანისი








მურნალ „ნიანგის“ და სამართხელოს სსრ  
შსს სახელმწიფო ავტონისპექციის საბირულ-  
ცხმორისტული ბუქლები



ზოგი „თიგულს“ რომ შეიძენს,  
ფირმულმა ცხვირს  
და გამოკეთეს ზარ-ზეიმით.  
როგორც ჩველი ბავშვი.  
„თიგულია“ მისი ფიქარი.  
პარი, სული, გული,  
და მანქანას მშობელზე და  
ბავშვზე უკეთ უფლის  
ფიქრდება ღებდა, მამა,  
შვილები და ცოლი.

თეთრონ არის „ბაზენიუც“  
ბელუსანიც, მძლიოც,  
თავი მოაქვს, გეგონენა  
არის მეფის ტოლი!  
30დაბა ვცნობთ ერთ ღრის  
კარგ კაცს —  
სულით გამოშვებულს—  
ეს რამდენი შეძლება  
ამ პატარა „თიგულს“?  
თეთრონ 336-306.



**ნიანგის**  
**ბუქლები**



**საინგურასო ავბაუი**

ას საინტერესო ამბავი  
ამ გაზაფხულს მოხდა 14 აბ-  
რის, საღამოს 5 საათზე, სახელ-  
მწიფო ავტონისპექციის „თეკლა-  
ოს“ საგუზავოსთან (სამტრედიის  
ზონა) ავტომანქანა „კამპ-5320“  
(სახელმწიფო ნომერი 66-88 სივ)  
შეაჩერეს. მძღოლ ადამიანსა სო-  
ფელ ლესელიძის მტვრეგები, 1935  
წელს დაბადებული, ნუგზარ  
ჩვენაის ძე კიფაძე მართავდა.  
მას არც ავტომანქანის მართვის  
უფლება და არც ტექნიკური პას-  
პორტის ტალიონი არ ჰქონდა, მაგ-  
არც სამაგიეროდ, საგუზავოს წა-  
რუდგინა საგზაო ფურცელი №  
008469, რომლითაც ქალქ სოჭის  
4627-ე ავტობრიგადის კეთილი  
შექმანით ხაშურადან ბიჭვინთში  
მიქონდა შედი ტონავალი. გო-  
რის ჩაიონის სოფელ ხელთების  
კოლმეურნეობის წევრებს ივანე  
ფურძეშაინის ძე მამუკაშაულს, ჩა-  
რას ივანეს ძე საბელაშაულს, ზუ-  
რას გიორგის ძე უჩიშვილს და  
ცხამალ ალექსანდრეს ძე მერაბი-  
შვილს რომ ეკუთვნოდა.  
დაიკეებულმა საგუზავოს მე-

მავებმა შეგონებით დაადგინეს,  
რომ, თურმე წე იტყვი და, საგ-  
ზაო ფურცელი ფიქტიური უკო-  
ფილა, ხოლო ავტომანქანის სახე-  
ლმწიფო ნომერი — ყალბი, რად-  
გან „კამპ-5320“ მარკის ავტო-  
მანქანა (1982 წლის გამოშვება,  
მარკა № 38744, შასი № 136694) ამ  
სახელმწიფო ნომრად გუთუნის  
„კანონიერების სპექტრის“  
ადღერის სამშენებლო-სამონტა-  
ჟო სამმართველოს და ზუსტად  
იმ დროს თავის ადგილას იდგა-  
დღერში. ეს ავტომანქანა კი 1982  
წლის ნოემბერში ჯ. ბრეცენეის  
„კამპის“ გაერთიანების ქარხნი-  
დან გაცტაკით და მის მერე ძე-  
ნანში იყო.  
გამოძიებას აწარმოებს შსს ცხა-  
კისა ჩაიბილიციის განყოფილე-  
ბა. მალე ცხადაის სახალხო სასა-  
მართლო განჩილავს „ფანტო-  
მას“ — თეკიან ბნელ-საქმეს და  
ხათელს მოპოვნეს მას.  
დანი სიხარულიძე

**„ნიანგის“ სარკილო ენციკლოპედია**

მიხედნარა წლის აპრილში  
ფურნალ „ნიანგის“ რედაქციამ,  
საქართველოს სახელმწიფო სპექტი-  
ის პროპაგანდისა და ავტიკაციის  
წევრანუფილბისა და ზესტფო-  
ნის ჩაიონის ავტონისპექციის წა-  
რამომადგენლებთან ერთად, მოა-  
წყო რეილი ვაიამბილოთა გამო-  
სავლინებულად.  
თი, ისინიც:

ალექსანდრე ვალიკოს ძე ხაჩა-  
ნიძე — საბურის ჩაიონის სო-  
ფელ კორპორულში მტვრეგები,  
ამავე სოფლის მეცხოველეობის  
საბჭოთა მეურნეობის მძღოლი.  
ქვედა საქაიოდან კორპორულში  
გადაპოვნდა 400 ლიტრი ღვინო,  
ამორტიზაციის ქვითის გარეშე.

ოლეგ ნიკოლოზის ძე ბერაძე  
— ორჭონიძის ჩაიონის სოფელ  
საქაიოდან მტვრეგები. ორჭონი-  
ძის ავტონისპექციის სარკილო  
მოს მისაბმულიან სატერითი ფე-  
ტომანქანის მართვად შესაბამის  
სპექტიკაციის მართვის უფლების  
გარეშე, გადაპოვნდა უცაბაიოდ  
ტერითი (ორ მერტზე მეტი ვალ-  
მომწერილი მიღები) და ქვედა  
ავტონისპექციის მტვრეგები.

ტარიელ პეტრეს ძე ქაიამაძე  
— ქვედა საქაიოდან მტვრეგები.  
ზესტფონის ადგილობრივი მრეწ-  
ველობის მეშა. მართვის უფლე-  
ბის გარეშე დააფართობდა ავტო-  
მანქანის (გან-2105, სან № 19-59,  
83).

მერას ნიკოფორეს ძე სახაჩა-  
ძე — სოფელ ქვედა საქაიოდან,  
ვიი რევაზის ძე ღალაშვი — გორის  
ჩაიონის სოფელ ბილისთავიდან,  
ვანტანე ვალიკოს ძე ჩიხაძე —  
თურკოლის ჩაიონის სოფელ ალი-  
სუბინიდან. მერას სახაჩაძე მარ-  
თვის უფლების გარეშე მიამტო-  
ლებდა ზესტფონის სატერითი  
ავტონისპექციის სარკილო

ავტომანქანის (გან-355, სან № 27-  
98, ვალ, ვივი რევაზის ძე  
გარეშე) — გორის სახელმწიფო სპექტი-  
კაციის კომინატის ნაწილობრივ  
სამშელომ მანქანის (გან 605, სან  
№ 2378, გამ), ხოლო ვანტანე რე-  
ვაძიძე — ზესტფონის ფურკო-  
ნაღმობა ქარხნის ტრაქტორს კი  
150-ს, უწიროს, თანაც ნასვამი  
იყო.


მერამ ევგრაფის ძე გორგას-  
ლიძე — ამბროლაურის ჩაიკო-  
ოპერატორის ტრეხალს მალაზის  
გამე; ანტონ შოთას ძე ტუცაძე  
— ქუთაისის კავშირგაბმულობის  
კვამის მძღოლი; ანტონ სერგოს  
ძე ლხინიძე — ჭიათურის არისთ-  
წეობი დაცვის მძღოლი; კობე ბე-  
სოს ძე კალაბოშვილი — ამ-  
ბურის ჩაიონის სოფელ ზემო  
აღლანიდან, ამავე სოფლის კო-  
ლმეურნეობის ტრაქტორისტი, ოთ-  
ხევემ წაღებულის ჩაიონის სო-  
ფელ კომპანიაში, ჩიჩინაშის ხა-  
ფის, დაარღვის გადასვლის წესი.  
მით არც მღაგაბამის რიდი ავტო-  
მანქანის მართვად ეშინიათ!

შოთა ამბროსის ძე გოლიძე —  
ესევე მალაველი, ამავე სოფლის  
მეწეხაზობის საბჭოთა მეურნეო-  
ბის მეშა. სარკილო გადაპოვნების  
გამო მანქანის მართვა არაბალ-  
ელს ქონდა 6 ღვინო, ამ წლის 15  
ნოვბრიდან, მერამ ამ საღამოს წა-  
იქვედა და „დაიკეუდა“ სასჯელი  
რომ ქონდა მიღებული სწორედ  
ამისთანა მძღოლზე ნათქვამი, არ  
ვათეთრდების ყოიბილი.

ქუჩინალ „ნიანგის“ რედაქციის  
და სახელმწიფო ავტონისპექციის  
უფლებით ქვედა მრეწველ მოაწ-  
ეობის ასევე რედაქციის და იმედი-  
სება ვაიამბილობისაც გამოავლე-  
ნები







— კიდევ ერთი წიგნი გადავადგდით, ბაბუა, და სკოლაში მსუბუქად მივალთ!

**სატვირთო** სადგურში კონტეინერებიანი ვაგონი ჩამოდგა. იდგა ექვსი თვე და ხუთი დღე. ინსტიტუტმა გადაიხადა ჯარიმა ათას ორას ორმოცდახუთი მან. და 77 კაბ., სახელმწიფომ კონტეინერებში გადაიხადა ამდენი და ამდენი ათასი დოლარი!..

დამონტაჟდა და რა დამონტაჟდა: მალღალსანახავი ე ბ მ გამოვიდა — მთელი ოთახი დაიკავა. აციმციმდა ცისფერი მონიტორები, აშიშინდა კონდიციონერები, ერთმანეთს მიპყვა გაუგებარი ციფრები და პერფორირებული. დამონტაჟებაში ინსტიტუტმა სამი ათას შვიდასი მანეთი და ოცდასამი კაბ. გადაიხადა.

ინსტიტუტის მრავალრიცხოვანი კოლექტივი ინტენსიურად მუშაობს ე ბ მ-ის რამენაირად გამოყენების რთულ პრობლემაზე.

**უ ა ნ ი უ ზ ვ ნ ა: ე ბ მ — ელექტრონულ-გამომთვლელი მანქანა.**

ლარი ჩანტლაძე

# უღთ რღჟჟ

წყალქალებული

— მომეშველეთ, მომეხმარეთ! —  
— მა მოისმა მდინარიდან!..  
და ჭაბუკის დასახსნელად მდინარესთან ვინ არ იდგა!..  
თავმჯდომარემ ჭაბუკს თოკი რომ ესროლა მართლაც მარჯვედ, მიიძახა: „ჩაუჭიდე, მოგზიდავთ და გადაგარჩენთ“  
ბიჭს იმედი მიეცა და ჩაუჭიდა ბაწარს მყისვე, მოქაჩეს და წამოვიდა, გამოზიდეს ნაპირისკენ!  
ყველა ერთად გახალისდა, გულმაგარიც და გულჩვილიც. მაგრამ უცებ... თავმჯდომარემ იცნო თვისი ბიძაშვილი!..  
და იტყვიდა თავში ხელი: „რა ვქნა, ძმაო, რა ვქნა, ძიავ?! ეს ხომ, — შენ რომ მოგეშველე, — ჩამეთვლება პროტექციად?! დაიწყება მითქმა-მოთქმა, და ვინ იცის, ჩემო კარგო, სხვას რომ თავი დავანებოთ, იქნებ სკამიც კი დავკარგო!“  
და გაუშვა ბაწარს ხელი, „არ გეწყინოს!“ — უთხრა თანაც, და ალალი ბიძაშვილი მღვრიე ტალღას გაატანა.

„მალღალ სკამზე“ მეოცნებე ბიძაშვილიც საშიშია და შენ, მისი მოიმედე, სუ ენდობი ტალღის შრიალს!

## მფარველობა

— რა ჰქნა ლუკი ივანიჩმა რა წესრიგი დაამყარა?  
— თავის თვისტომს, დამნაშავეს, ხელი მტკიცედ დააფარა! ნათესავი გახალისდა, გაიფიქრა: „არ ვარ მარტო!“ და იმისი სამოქმედო ასპარეზი გახდა ფართო.  
— მე ეშმაკი რას დამაკლებს, ივანიჩი თუ მყავს მცველი! — და ნათესავს ნათესავმა დააფარა ისევ ხელი. დამნაშავემ კვლავ აიშვა, დატრიალდა უფრო მარდად, სამოქმედო ასპარეზი გაშალა და მთლად გაზარდა! მაგრამ მასაც მოუწია ანგარიშის ჩაბრუნებამ, ივანიჩმა ვეღარ შეძლო უკვე ხელის დაფარება! დამნაშავე წაიყვანეს, შეუმოკლეს დღენი ლხენის და მის მფარველ ივანიჩსაც ის მფარველი მოსჭრეს ხელი!

აქ მორალი ასეთი გვაქვს: პროტექტორებს ვთხოვდით ყველას, მარჯვენს თქვენსას გაუფრთხილდით, ნუ გაიხდით მოსაჭრელად!

მშვენიერი ღამე არის, ბუღბუღების ხმა ისმის, ფერმის გამგეს, ახალგაზრდას, შეხვდა სატრფო თავისი. სოფლის ბოლოს, მდინარესთან, დაჰყურებდათ ცარგვალი, ჩამოსხდნენ და წამოიწყეს საუბარი ამგვარი:  
— შენ, ირინე! — ბიჭი ჰკითხავს, — მითხარ, დამიდასტურე, მართალია, თქვენი რგოლი გეგმებს რომ ვერ ასრულებს?! — გეგმებს როგორ ვერ ვასრულებთ?! ბიჭს შეუწყრა ირინე, — მხოლოდ ეს მწყინს, შენ რომ სიტყვა გავტეხია, ჭირიმე! მე მრცხვენია, თავმჯდომარე შენზე აუგს რომ გვეტყვის: წველადობა გაგიზრდიათ მხოლოდ შვიდი პროცენტით! — მხოლოდ შვიდით?! ტყუილია! ფერმას ვფიცავ, ირინე!.. მდინარე კი მიდუღუნებს, ტყე და ჭალა ბიბინებს...  
●  
მაგრამ ასე ცხოვრებაში არც მომხდარა, არც ხდება, ასეთ კითხვა-საუბრებით ქალს მიჯნური არ ხდება! ასე მხოლოდ რომანშია, (რაც ავტორმა ინება!) გვიპრადებთან, რომ სცენაზეც ვნახავთ ინსცენირებას!

# მამაჯაციარის ვერ გიშველის!..

ქვემოთაა  
გიგორგი მთავარი

„კიდევ ვის შეიძლება, დაურეკოს კაცმა?!“  
 — ფიქრობდა ავთო და უბის წიგნაკს ჩაფრენოდა. „მოდი, თენგოს დაურეკავს არა მგონია, გამაწიბლოს!“ — გაიფიქრო გულში და სასწრაფოდ აკრიფა ნომერი.  
 — ჩემს თენგოს მზეგრძელობა!  
 — როგორა ხარ, ძმაო, რახა იქ?!  
 — არა გიშავს კი არა, მაგრამ უნდა იყო. მაგრამ!.. ჩემო თენგო, სათხოვარი მაქვს ერთი!  
 — ხვალ სოფელში უნდა წამომხვედ!  
 — ხო, ხვალ!  
 — მიშიკოს შეშპირდი?!  
 — საიდან გამოხტა ახლა ეს წყველი?! მო, კარგი, კარგი, რას იზამს! თუ შეშპირდი უნდა გაპყვე კიდევ!.. ნახვამდის!..  
 ვინ დამარჩა, ვის შეიძლება დაურეკო?! ზურა! ზურა! აგერ ჩემი ზურა! ზურა კარგია! ერთხელ კი წავიყვანე, მაგრამ არა უშავს არც ეხსომება!.. კიდევ ვცდი ბედს!..  
 — ალო, კუტაღისშვილის ბინა?  
 — ზურას თხოვეთ!  
 — როდის მოვა?  
 — დენისმა წაიყვანა საჩხერეში?!  
 — ეს დენისი რომ არ გაგეჩხროს, არ შეიძლება!..  
 ვინ ჯანდაბან ვთხოვო ახლა?! ჩავყვე ბარემ ბოლომდე!.. ნუკრი, ზაზა, ჯონი.. ესენი გინდ წაგიყვანია და გინდ — არა, დათო და ნიკო!.. ამით ცხრაათვიანი დევი ვერ დაბამს შაბათ-კვირას ქალაქში!.. შატუ!.. შატუს სად ეცლება ჩემთვის?! გამე სადოქტოროზე მუშაობს!.. ამირანი მივლინებაშია. ასკალონი!.. ასკალონი! აი, მესმის! სად ვიყავი აქამდე, რამ დამიბნელა გონება?! ნეტავი სახლში იყო და მე ვიცი!..  
 — ალო, ალო, ასკალონს თხოვეთ, ქალბატონო!  
 — ტელეფონთან ვერ მოვა? რა დემარტა ახეთი?!  
 — მენჯის ძვალი?! სად? როგორ? იურას მიჰყვებოდა ზესტაფონში?!  
 — ო, ის ადგილი წყუთლია!.. რას იზამ ტკივილები კი შეაწუხებს, მაგრამ მალე შეუბორცდება!  
 — ნუ გეშინია, ქალბატონო, ეჭიშვინა ეგრე იცოინ, ერთი წელი კი არა, ექვს თვეში ფეხზე დადგება!  
 რა ვქნა ახლა? თუ დამარჩა ნეტავი კიდევ ვინმე? მოდი, ერთი ჯ-ზე ვცადო ბედი!.. ჯანდაბარი, ჯანაშია, ჯანჯანა.. ილო! ილო, ბიჭო, შენ აქ მყოლინარ და სხვას ვეღარიბები? მე შენ გიჩვენებ!.. კარგი იყო, ჩხორა-წყუთში რომ წამათრეე?  
 — ალო, ალო, ილო ხარ? რა კარგია, რომ დაგიჭირე!..  
 — ეჭვი არ მეპარება, რომ გაგახარე, ჩემო ილო!..  
 — სათხოვარი გაქვს?!  
 —

— თუ რამე შემიძლია, ხომ არ დაგამადლო, ჩემო ილო!  
 — ბალი გაქვს დასაქრევი და სოფელში ვერ წახულებარ?!  
 — ერთი კვირაა, მე თვითონ ვეძებ სოფელში წახუვანად კაცს, მაგითომ გარეკავდი!..  
 — რატომ, შე კაცი?! რატომ არა გაქვს ბედი? ხვალ თუ არა, მერე წახვალ!..  
 — რას შეგამენ იმდენს ჩიტები?!  
 — ო, კარგი, კარგი ნუ იცი ყველაფერზე ტირილი!.. ილიკო, ილიკო! ო, რა იმედი მქონდა შენი!..  
 ეს ვინ არის, ნეტავი გვარი კი იკითხება — ბუხაიძე, მაგრამ სახელი?!. სახელს ეშმაკი ვერ გაუგებს ვერაფერს!.. იას... იას... მგონი, იასონი წერია. წერია არ სცოდნია მაგ შობილ-ძაღლს, რა ჩაუქდაბნია!.. ნეტა, რა რჩულია, სად გავიციანი, როდის?!. ვცადო მაინც ბედი!  
 — ალო, ალო, ბუხაიძის ბინა, ბატონო?  
 — მე... იასონი მინდოდა!..  
 — იასონი მანდ არ ცხოვრობს?!  
 — უკაცრავად, რომელი ბუხაიძის ბინა ბატონო?  
 — იოსების? ხო, იასონ ბატონო, თქვენთან ვრეკავ!  
 —

— რამ გამომაშტერა იასონი კი არა იოსებ ბატონო! მე ესა და ეს კაცი ვარ!..  
 — უცებ რას მიცნობდი იას... იოსებ ბატონო!.. დიდი მადლობა!..  
 — სწორი ბრძანდებით, იასონ!.. ფუი, რა დამემართა... იოსებ ბატონო! რა საჭიროა ჩვენს შორის ბატონობით საუბარი, ჩვენ ხომ შეგობრები ვართ?!  
 — როგორ არ მახსოვს, მაგიდაზე რომ ვიცეკვეთ... სხვა ხომ კარგად, ჩემო იოსებ!  
 — ჩემო იოსებ, ერთი სათხოვარი მაქვს!..  
 — კი ვბრძანებ, მაგრამ... სოფელში მივდივარ ხვალ და...  
 — აუ, ეს არ გეთქვა და ტყვია გესროლა!  
 — იგორს მიჰყვებით?!.  
 — საიდან გამოიხტა ახლა იგორი?! კი მაგრამ, იგორს საშუა და ნიაში არ მიჰყავს?!  
 — რატომ არ ეყოფა ორი კაცი?!  
 — არ უოფილა ჩემი საშველი და ეგ არის!..  
 — კარგი, ჩემო იას... იოსებ... ნახვამდის!.. რა ვქნა ახლა? ვის დაურეკო? ვინ გამოხვედა ხვალ სოფელში? ვინ გამოიგონა, ვინ შემოიღო ეს სისაძაგლე — მოძრაობის წესების დარღვევისათვის ადგილზევე გახამართლებენ! საჭმის ჩახაწყობად თან თუ არ ატარე ძმაკები, მერე მამაზეციერის ვერ გიშველის!..

ნოზარი ბარტაია



ნ. ა. შ. ლელაშვილი

— რავა ცეცხლმოკიდებულივით გაჭკივი, შე კაი ქალო! დაწყნარდი და ისე მელაპარაკე!

ჰარ კიდევ ვხედებით მასწავლებლებს, რომლებიც ლექციებს კითხულობენ სიძველისაგან გაყვითლებული კონსპექტების მიხედვით და ოსტატურად უვლიან გვერდს მწვავე საკითხებს. ასეთი ორატორები, მ. ი. კალინინის მოსწრებული თქმისა არ იყოს. „ჩინებულად აძინებენ აუდიტორიას“.

გაზეთიდან

ნა. მ. მორაძისა



კოლექტიური დაძინების ლექცია-საესი

ნა. მ. აბაშიძისა



— რას ჰგავს ეს? ჩემი ხელქვეითი ზემოდან რატომ უნდა დამეუბნებდეს?

# ჩიბუხნი

არავისაგან ზანსხვავებული პაპა მე არ მყოლია. მაღალი იყო, წელში ოდნავ მოჭრილი; ელასი წვერი, გახსნილი შუბლი და კეთილი გული ჰქონდა.

ეს იყო, პაპას განსაკუთრებით უყვარდა ჩიბუხნი. ეწეოდა თუ არ ეწეოდა, ერთთავად სულ პირში ჰქონდა გაჩრილი.

ძილის წინ გაასუფთავებდა, დატენიდა შინ მოყვანილი თამბაქოს ფოთლებით და სამოქმედოდ გამზადებული ზარბაზნით გაწყობილს გვერდით დაიდებდა.

ჩიბუხნის ტარზე ათასნაირი აღნიშვნა ჰქონდა გაკეთებული (ჩვენში დარჩეს და, ბებიას მოყვანის თარიღიც კი ზედ იყო ამოკაწრული).

მეტეც, ბებია მზითევში ნაჩუქარი ზურმუხტის თვლიც კი ჩიბუხნის თავში ჩაასმევინა ოქრომჭედელს.

სწორედ ამიტომაც იყო, რომ ოჯახში მოსულ სტუმრებს საღმის შემდეგ უპირველესად ჩიბუხზე ჩამოუგდებდა საუბარს.

— შენამც ნუ მომიკვდები, — დაიწყებდა წყნარად და პირიდან რგოლ-რგოლად უშვებდა კვამლს. — ამაში (ჩიბუხზე ხელით უჩვენებდა) შიმშილობის დროს ჭარელ ლეკს ზუთი ფუთი სიძინდი და ერთი კოკა ღვინო მივეცი.

თანაც დაუმატებდა, უბრალო კი არ გეგონოთ. ერეკლე მეფის ნაქონიაო. ბრძოლიდან რომ ბრუნდებოდა და საინგილოზე გამოიარა, აი, ინგილო გოგონას რომ სპარსელი ეგონა და თავზე ქლიავი გადააყარა, ზევით ახედვისას დავარდნია დაბლა. ამის შემდეგ იმ ჭარელი ლეკის პაპას უბოვია. მე რომ ჩიბუხი მომყიდაო.

ასე იყო თუ ისე, კაცს უყვარდა ჩიბუხი და მის დაკარგვას, ყველამ ვიცოდით, იგი ვერ შეელოდა.

ღდება ყველაფერი და მოხდა ისე, რომ ერთხელ, დილით რომ გაიღვიძა, ჩიბუხი თავის ადგილას, აღარ დახვდა. პირველად იქვე, გვერდზე მწოლ ბებიას ეცა, რომელსაც შვილიშვილის აკვანი ედგა ტახტთან.

— აქ ალიბეგლოდან ყაჩაღები არ მოვიდოდნენ, შენ სადმე გადააგდებდი!

ბებია თავისი სინათლეკლებული თვლებით ბეგრი ეძებდა და რომ ვერაფერს გამხდარიყო, ყველა ჩაგვრია ამ საქმეში.

გამწარებულმა მოხუცმა აღარ იცოდა, რა ექნა, კვილით და მუქარით რომ ველარაფერი გააწყუო. მერე მოფერებაზე გადავიდა: აბა, შვილებო, ყველამ ისე მოძებნეთ, ბებიას მიერ დამალულ ჩურჩხელებსა და ტკბილეულს რომ ეძებთ.

გადავაბრუნეთ იქაურობა, მაგრამ მიწამ უყო პირი თუ ცამ, ვერა გავიგეთ რა.

ამასობაში აკვანში მწოლ ბავშვს გაეღვიძა კიდევაც და ევილ-ხვილზე ყვირილი მორთო. დედამ რომ ამოიყვანა ბავშვი, სწორედ აქ მოხდა მოსახდენი: სინათლენაკლულ ბებიას შიბაქის მაგივრად პაპას ჩიბუხი ჩაედგა აკვანში...

უზანგი წყარუაზვილი

### რეპორტიორი ეკითხება:


კინოვარსკვლავს:  
 — რამდენი წლისა ხართ?  
 — ორმოცს ვუახლოვდები.  
 — რომელი მხრიდან?

### ასალი თანაშემწე ეკითხება:

მოსუც მეთაიქაქს:  
 — ეს რა წამალია, ცალკე რომ დევს სალაროს გვერდით?  
 — ამ წამალს იმ შემთხვევაში ვაძლევ, როდესაც რეცეპტს ვერ ვარჩევ.

### ცოლი პირველად მიუჯდა:

მანქანის საჭეს და ქმარს ეუბნება:  
 — ყველაფერი წესრიგზეა, ძვირფასო, აი ამ სარკის გარდა.  
 — რატომ?  
 — სწორად არ არის დაყენებული. ჩემი თავის ნაცვლად იმ მანქანებს ვხედავ, უკან რომ მოგვდევენ.



### ფსიქიატრი:

მობრძანდით რას უჩივით?  
**პაციენტი:** ექიმო, ხანდახან მგონია, რომ ვლამპირაკობ, არავის ესმის ჩემი. გემუდარებით მიშველეთ!

### ფსიქიატრი:

მობრძანდით, რას უჩივით?

### ასალბაზრად:

კაცი სახელოსნოში მოეწყო მუშად, მაგრამ ერთ თვეში დაითხოვეს. მამამ—რა მოხდაო, — ჰკითხა.  
 — იცი რა?! უფროსს უბრალოდ ჩემი შურდა. ხელეები მუდამ ჯიბეში უდევს და მთელი დღე ბოლოს სცემს, უყურებს ვინ რას აკეთებს.  
 — კი მაგრამ, შენი რატომღა შურდა?  
 — იმიტომ რომ, სახელოსნოში ყველას მე ვეგონე უფროსი.

### პანანს:

ასი წელი შეუსრულდა. ადგილობრივი გაზეთის რეპორტიორი ეკითხება:  
 — როგორ ატარებთ დროს?  
 — ვდგები 9 საათზე, გამოვდივარ გარეთ და გაზეთს ვყიდულობ. შემდეგ ვათვლიერებ ნეკროლოგებს, თუ არაფერი წერია ჩემ შესახებ, შინ ვბრუნდები და ვსაუზმობ.

### პერგარტი:

გამცლელს ეკითხება:  
 — ბოდიში, თქვენ სვამთ?  
 — არა! — აღშფოთდა გამცლელი.  
 — მაშინ, თუ შეიძლება, დამიჭირეთ ეს კონიაკის ბოთლი სანამ თასმებს შევიკრავ.

### მე თქვენი არ მესმის:

შენუხებული ეუბნება ექიმი პაციენტს, — რომელ დასაძინებელ წამალს მთხოვთ, როცა ღამის ორ საათამდე ბარში ზიხართ?  
 — ჩემთვის კი არ გთხოვთ ექიმო, ცოლისთვის მინდა!

### უოტლანდიელი:

ეუბნება მეგობარს:  
 — ნუხელ მაკ-გრეგორს ჩოგბურთი ვთამაშე და ისე დავიქანცე, ფეხზე ძლივს ვდგავარ.  
 — მაგრამ, ის ხომ სუსტი მოთამაშეა.  
 — მართალია, მაგრამ ჩვენ მხოლოდ ერთი ჩოგანი გვექონდა.

### შენ ყველაზე სულელი ძაღლი ხარ:

რაც კი ოდესმე შემხედვარია, — უყვირა ფილიფსონმა ძაღლს, — მე გეუბნები, გაზეთი მომიტანე-მეთქი, შენ კი ყავის მზადებას იწყებ!

### ძვირფასო, მშვენიერი სიზმარი ვნახე:

თითქოს უცოლო ვიყავი და ხელი გთხოვე.  
 — კი მაგრამ, რატომ ხარ ასეთი კმაყოფილი?  
 — შენ უარი მითხარია.

### ალექსანდრე:

დიუმამამა ამბობდა: „ქორწინების ბორკილები იმდენად მძიმეა, რომ მათ სატარებლად ორი ადამიანია საჭირო“.

### დასასვენებლად წასვლის:

წინ ქალი საკერავ მანქანას მისჯდომია, ქმარი კი გვერდით უზის და ეუბნება:  
 — ოდნავ ჩქარა გაიარე... ყურადღებით... ძაფი გაგინყდება შეაბრუნე ნაჭერი მარჯვნივ... გაჩერდი...  
 ბოლოს და ბოლოს ნერვებამოლილი ცოლი უყვირის:  
 — რატომ ერევი ჩემ საქმეში? ძალიან კარგადაც ვიცი კერვა!  
 — რა თქმა უნდა, ძვირფასო მე მხოლოდ მინდოდა მეჩვენებინა, თუ რას განვიცდი, როდესაც მანქანის წაყვანას მასწავლი ხოლმე...

### დრამატურგ:

ემილ ოფიციეს პიესის წარმოდგენას ავტორთან ერთად ალექსანდრე დიუმა-შვილი ესწრებოდა. მან დარბაზში ჩაძინებული მაცურებელ დაინახა და ავტორს მიუბრუნდა — ხედავთ, რა ეფექტი გამოიწვია თქვენმა პიესამ?  
 მალე დიუმა-შვილის პიესის პრემიერა შედგა. ემილ ოფიციეს ავტორთან ერთად ესწრებოდა და მანაც შეამჩნია ჩაძინებული მაცურებელი.  
 — თუ ხედავთ, რა ეფექტი აქვთ თქვენს პიესას?

### აა, ვიცანი:

უპასუხა დიუმა-შვილმა. — ეს იგივე მაცურებელია, რომელსაც მაშინ ეძინა, მას ჯერ არ გაულვიდია.

### ბატონი დიუმონი:

მივლინებაში წავიდა. იგი ცდილობს ცოლს ტელეფონით დაუკავშირდეს, მაგრამ უპასუხეს: ნომერი დაკავებულიაო. მაშინ ბ-მა დიუმონმა ცოლს დეპუტა გაუგზავნა: — დადგეი ყურმილი!



— არა! ეს ფეხსაცმელები ძალიან ვინრო და წაგრძელებულია.



— მაგრამ, ბატონო, წელს ვინრო და გრძელი ფეხსაცმელებია მოდაში.

— შესაძლებელია, მაგრამ მეც გამიგეთ საუბედუროდ, კვლავ მარშანდელ ფეხებს ვატარებ.

### ავტოზუსი:

გაჩერდა. ახალგაზრდა კაცი მძღოლთან მივიდა და ეკითხება:  
 — მითხარით, თქვენი ნოეს კილობანი სასევა?  
 — არა, ბატონო, ვირა გვაქლია. ათოდხართ?

### პარიზში:

პოლიციელი ხედავს ქალს, რომელიც შუა გზაზე განოლილა.  
 — თქვენ რა, ავადა ხართ? — ეკითხება იგი.  
 — არა, ადგილს ვიკავებ ჩემ ქმრის მანქანისთვის.

### გაზეთში ჩემს შესახებ წერია...:

შეუძლებელია.  
 — ნაიკითხე: „ურრცხვი ხალხი მოვიდა, რათა ფინიშზე ველოსიპედისტთა მოსვლას დასწრებოდა“.

— კი მაგრამ, შენ სადა ხარ?  
 — მე ხალხში ვიყავი.

### გამიგეთ, ბატონო, აქ ცხოვრება:

შეუძლებელია. გუშინ ღამის ორ საათამდე ვიღაცა ჩემს ჭერზე აბრაზუნებდა.  
 — და ამან ძალიან შეგანუხათ?  
 — აბა რა, მე ხომ ვმუშაობდი!  
 — რაიმეს ნერდით?  
 — არა, საყვირზე ჩემს პარტიას ვიმეორებდი.

თარგმანა თინათინ დარჩიანა

7-83

0-618

№ 678  
 შემოვიდა 19 9.3  
 წელი

ზედმეტი „მვარბლი“



ს. ლომიძის



სატირისა და იუმორის ჟურნალი „ნიანგი“ № 19 (1653) ოქტომბერი, გამოდის 1923 წ. ივნისიდან.

მთავარი რედაქტორი  
 ზაურ ბოლქვაძე

სარედაქციო კოლეგია:

ავთანდილ ადეიშვილი  
 (პასუხისმგებელი მდივანი),  
 ვაბუა ამირეჯიბი, ნომდი  
 ბარათია, ბორის გურგუ-  
 ლია, ნოდარ დუმბაძე, რე-  
 ვაზ თვარაძე, ჭემალ ლო-  
 ლუა, ნოდარ მაღაზონია  
 (მხატვარ - რედაქტორი).  
 ალექსანდრე სამსონია, ბე-  
 ჟან სიხარულიძე (მთავარი  
 რედაქტორის მოადგილე),  
 ჯანსუღ ჩარკვიანი, თამაზ  
 წივწივაძე, ნაფი ჯუსიითი.

ტექნიკური რედაქტორი  
 მიხეილ კუხალაშვილი

გადაცა ასაწყობად 31. 8.  
 83 წ. ხელმოწერილია და  
 საბეჭდოდ 12. 10. 83 წ. ქა-  
 ლაღის ზომა 60X90<sup>1</sup>/<sub>2</sub>,  
 ფიზიკური ნაბეჭდი ფურცე-  
 ლი, 1,25, საარტიცხოვო-საგა-  
 მომცემლო თაბახი 1,7, სა-  
 ქართველოს კბ ცე-ის გა-  
 მომცემლობა, ლენინის, 14  
 შეკვეთა №2064 უე 07234  
 ტირაჟი 136.300. ჟურნალი  
 გამოდის თვეში ორჯერ.  
 რედაქციაში შემოსული მა-  
 სალები ავტორებს არ უბ-  
 რუნდებათ.

ჩვენი მისამართი: 880008.  
 თბილისი-8 რუსთაველის  
 პროსპექტი № 42.  
 ტელეფონები: მთავარი  
 რედაქტორის — 99-55-54.  
 მთ. რედ. მოადგილის —  
 93-19-42, პ/მგ მდივნის —  
 93-10-78. მხატვარ-რედაქ-  
 ტორის — 99-02-38, გან-  
 ყოფილებათა გამგეების —  
 93-49-32, რედაქტორ-ლიტ-  
 მუშაეების — 99-02-38,  
 მდივანი - მემანქანის —  
 99-76-69.

სატირიკო - იუმორისტиче-  
 ский журнал «НИАНГИ»  
 (На грузинском языке)  
 Тбилиси, пр. Руставели  
 № 42. Издательство ЦК  
 КП Грузии, Типография  
 издательства ЦК КП  
 Грузии, Тбилиси, улица  
 Ленина № 14.

ფასი 20 კაპიკი  
 იმდებინ 76137

